საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური

შემოწმების აქტი N002665/ შ

შედგენის თარიღი: „25" აპრილი 2022 წ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის", „შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილების შესაბამისად, კერძოდ, 2021 წლის 05 ნოემბერს №002665 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მასზე თანდართული №002665/ო მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, შრომითი უფლებების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახური ამოწმებს გაცემული მითითებების შესრულების ფაქტს, რისთვისაც სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (უფროსი შრომის ინსპექტორი) [redacted] და უფროსი სპეციალისტის, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (შრომის ინსპექტორი), [redacted] მიერ 2022 წლის 25 იანვარს განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციის განმეორებითი ინსპექტირება:

ორგანიზაციის დასახელება: ააიპ „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 402069854
დირექტორი: მირზა ხინიკაძე
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი, ლუბლიანას ქუჩა N 13/ მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N 6
ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი, ლუბლიანას ქუჩა N 13/ მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N 6

ააიპ „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ მიმართ 2021 წლის 05 ნოემბერს გაიცა № 002665 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და № 002665/ო მითითება, რომლის თანახმად კომპანიას განესაზღვრა 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა მითითების გამოსასწორებლად.

გამოთხოვილი დოკუმენტაცია/ინფორმაციის შესწავლის, დამსაქმებლის და დასაქმებულების გასაუბრების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

№	გაცემული მითითება	შედეგი
1.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“** მე-12 **მუხლის** მე-2 **პუნქტი** „თუ შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა 1 თვეს აღემატება, აუცილებელია შრომითი ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება.“	**მითითება შესრულდა**
2.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“** მე-14 **მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი** „თანამდებობა (არსებობის შემთხვევაში მიეთითება რანგი, თანრიგი, კატეგორია და სხვა) და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა“	**მითითება არ შესრულდა**
3.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“** მე-23 **მუხლის** მე-2 **პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი** „შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი“	**მითითება არ შესრულდა**
4.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“** 23-ე **მუხლის** მე-4 **პუნქტი** „დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უსაფრთხველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.“	**მითითება შესრულდა**

5.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-24 მუხლის მე-11 პუნქტი** „დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის დოკუმენტი შეინახოს 1 წლის განმავლობაში. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმას განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი) სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ.“	**მითითება არ შესრულდა**
6.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი** „ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება შრომის ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ზეგანაკვეთური სამუშაო უნდა ანაზღაურდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემდეგ გადასახდელ ყოველთვიურ შრომის ანაზღაურებასთან ერთად.“	**მითითება შესრულდა**
7.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტი** „დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით.“	**მითითება შესრულდა**
8.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტი** „შრომის ანაზღაურება არის ძირითადი ან მინიმალური ანაზღაურება ან ხელფასი ან ნებისმიერი სხვა ანაზღაურება, რომელიც გადახდილია ფულადი ფორმით ან ნატურით და რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ იღებს დასაქმებული დამსაქმებლისგან სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ.“	**მითითება არ შესრულდა**

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ **შემოწმების ჩაბარებაზე უარის** აღნიშვნა:

უფლებამოსილი პირ(ები)ი:

[redacted]

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი **წარმომადგენელი:**